გადასვლა აქტივობიდან აქტივობაზე; მერი ლუიზ ჰემეტერის, მიქელინ მ. ოსტროსკის, კეთლინ მ. არტმენის და კირსტენ ა. კინდერის ეს სტატია დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებს იმის გააზრებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანი "კარგად დაგეგმილი აქტივობიდან-აქტივობაზე გადასვლები" ჯგუფში რთული ქცევის თავიდან ასარიდებლად.

მოძრაობა შეუფერხებლად - გადასვლის დაგეგმვა ქცევითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად

სკოლამდელი დაწესებულებების უმეტესობაში, სავარაუდოდ, ძალიან ცოტა ბავშვს აქვს მუდმივი ქცევითი პრობლემები. ნებისმიერ დღეს შეიძლება რამდენიმე ბავშვმა გამოავლინოს რაღაც ფორმის ქცევითი პრობლემა. ეს ხშირად დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ჯგუფურ გარემოში პირველად ყოფნა, ასეთ გარემოში ქცევის წესების არცოდნა, სათანადო ქცევისთვის საჭირო სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობა, მოწყენილობა, ემოციების სათანადოდ გამოხატვის უუნარობა. ერთი ქმედებიდან მეორეში გადასვლა არის ის პერიოდი, როცა ბავშვები უფრო მეტად ავლენენ ქცევით პრობლემებს.

აქ წარმოდგენილია მითითებები მასწავლებლებისათვის გადასვლის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. მცირეწლოვანი ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია უპირატესობას ანიჭებს პროგნოზირებად, ორგანიზებულ დღიურ რეჟიმს, რომელშიც ბავშვები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და მასწავლებლები ეძებენ შესაძლებლობებს, განავრცონ ბავშვების იდეები და ინტერესები (Bredekamp&Copple, 1997). უმჯობესია, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა ორგანიზებული იყოს და ურთიერთობას, კომუნიკაციას და სწავლას შეუწყოს ხელი (Sandal et al. 2005). აქ ჩვენ განვიხილავთ გადასვლის დროს ქცევითი პრობლემების წარმოშობის მიზეზებს, უფრო ეფექტური გადასვლის დაგეგმვისა და განხორციელების სტრატეგიებს, იდეებს, როგორ ხდება გადასვლის გამოყენება სოციალური უნარ-ჩვევებისა და ემოციური კომპეტენციის სწავლებისათვის და იმ ბავშვებთან მუშაობის დაგეგმვის პროცესებს, რომლებსაც ერთი აქტივობოდან მეორეზე გადასვლა უჭირთ.

გადასვლები: რა არის გადასვლები და რატომ ვლინდება ქცევითი პრობლემები

ადრეული ბავშვობის გარემოში გადასვლები არის ის პერიოდები, როცა ბავშვები გადადიან ერთი აქტივობიდან მეორეში, ან ერთს მეორით ცვლიან. ჩვეულებრივ, ეს

გადასვლა მოიცავს ჯგუფში მოსვლას, მოძრაობას დილის შეხვედრებიდან ცენტრებისკენ, ცენტრებისთვის დათმობილი დროის შემდეგ დალაგებას და გარეთ თამაშისათვის მომზადებას, ჭამის ან ძილის დროს და შინ წასვლისთვის მომზადებას. ბავშვების ქცევითი პრობლემები გადასვლის დროს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება გადასვლები. ქცევითი პრობლემები უფრო მეტად მოსალოდნელია, გამოვლინდეს, როცა ძალიან ბევრი გადასვლა ხდება, როცა ყველა ბავშვის გადასვლა ერთდროული და ერთნაირია, როცა ძალიან ხანგრძლივია და ბავშვები ძალიან დიდ დროს უსაქმოდ ატარებენ ლოდინში და როცა ქმედითი მითითებები არ არსებობს.

ბავშვებმა შეიძლება გამოავლინონ ქცევითი პრობლემები, როცა მათ არ იციან, რას უნდა ელოდონ გადასვლისაგან. შეიძლება ეს იყოს ბავშვის პირველი გამოცდილება ჯგუფურ გარემოში ან წესები, რაც განსხვავდება სახლის რეჟიმისგან. შეიძლება ერთ ჯგუფში ბავშვები ისხდნენ მანამდე, სანამ ყველა ბავშვი არ დაასრულებს ჭამას, მაშინ როცა მეორე ჯგუფში ბავშვს შეუძლია დატოვოს მაგიდა და ყურადღება დაუთმოს წიგნს, სანამ სხვა ბავშვები არ დაასრულებენ ჭამას. ბავშვებმა ასევე შეიძლება ვერ გაიგონ, რა უნდა გააკეთონ, როცა აღმზრდელები სხვადასხვა დღეს სხვადასხვაგვარად ასრულებს დღიურ რეჟიმს (მაგალითად, ერთ დღეს, როცა ბავშვები საჭმელად ემზადებიან, ადგილის დაკავებამდე იბანენ ხელს, მაშინ როცა მეორე დღეს ჯერ ადგილს დაიკავებენ და შემდეგ იბანენ ხელს).

ზოგიერთ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს გადასვლა შეზღუდული შესაძლებლობების (მაგალითად, ცვლილებები რთულია აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის) ან შეზღუდული კომუნიკაციის, სოციალურ-ემოციური ან კოგნიტური უნარების უქონლობის გამო. მაგალითად, ზოგიერთ ბავშვს უფრო დიდი დრო სჭირდება მითითების გადასამუშავებლად. თუ უფროსები ერთდროულად ძალიან ბევრ მითითებას აძლევენ ბავშვებს ან აძლევენ სიტყვიერ მითითებებს მინიშნების გარეშე, მაგალითად, ზურგჩანთას იჭერენ იმის საჩვენებლად, რომ შინ წასვლის დროა, ბავშვებმა შეიძლება ვერ გაიგონ, რა უნდა გააკეთონ. ამ სიტუაციებში მასწავლებლებმა შეიძლება ბავშვი ქცევითი პრობლემების მქონედ მიიჩნიონ, ნაცვლად იმისა, გააცნობიერონ, რომ ბავშვებს სჭირდებათ, უნარ-ჩვევების სწავლა დამატებითი მინიშნებების მიღება მითითებების გასაგებად.

და ბოლოს, ზოგიერთმა ბავშვმა შეიძლება გადასვლის დროს ქცევითი პრობლემები გამოავლინოს, რადგან მათ არ სურთ იმის შეწყვეტა, რასაც აკეთებენ, მათ არ უნდათ ან არ სჭირდებათ შემდეგ აქტივობაზე გადასვლა. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც კუბებისგან შენობას აშენებს და მასწავლებელი ეუბნება, რომ დროა, რიგში ჩადგეს და ტუალეტში წავიდეს, ან ბავშვები, რომლებიც ეძებენ წიგნს და მასწავლებელი მათ ეუბნება, რომ ჭამის დროა. ამ სიტუაციების შედეგი ხშირად ქცევითი პრობლემებია,

რადგან ბავშვები არ არიან მოტივირებულები, არ სჭირდებათ ან არ აინტერესებთ შემდეგი აქტივობა.

ზოგჯერ მასწავლებლებმა შეიძლება ვერ გააცნობიერონ, რატომ შეიძლება ბავშვებმა ქცევითი პრობლემები გამოავლინონ. მათ შეიძლება იფიქრონ, რომ ბავშვს ცუდი დღე ჰქონდა, ის უგულებელყოფს მასწავლებელს ან ჯიუტობს, როცა სინამდვილეში ბავშვმა შეიძლება არც კი იცის, რა უნდა გააკეთოს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ყველა შესაძლებელი მიზეზი, რატომ აქვს ბავშვს რთული პერიოდი და შემდეგ განვსაზღვროთ სტრატეგიები გადასვლაში მის დასახმარებლად. შემდეგ ნაწილში ჩვენ წარმოგიდგენთ გადასვლის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო იდეებსა და სტრატეგიებს, რაც დაეხმარება ბავშვებს და შეამცირებს ქცევითი პრობლემების წარმოშობის ალბათობას.

გეგმა წარმატებისათვის

გეგმის შემუშავება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს გადასვლა და მაქსიმუმამდე ზრდის განვითარებისათვის შესაფერის აქტივობებში ბავშვების ჩართულობას, ქცევითი პრობლემების შემცირებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. ისეთი განრიგი, რომლის დროსაც ბავშვები ხანგრძლივად ჩართული არიან დაგეგმილ აქტივობებში ან პროექტებში, ცოტა დროს ხარჯავენ გადასვლებში, ან იშვიათად ატარებენ დროს უსაქმოდ ლოდინში, ამცირებს ქცევითი პრობლემების წარმოშობის ალბათობას. დაგეგმილ განრიგს რამდენიმე უპირატესობა აქვს, მათ შორის (ა) შემცირებული დრო, როცა ყველა ბავშვის გადასვლა ერთად ხდება; (ბ) ნაკლები დრო დიდ ჯგუფებში და უფრო მეტი დრო ბავშვზე მიმართულ აქტივობებზე; (გ) ცენტრში ყოფნის უფრო ხანგრძლივი დრო, ასე რომ, მოზრდილებს უფრო მეტი დრო აქვთ პატარა ჯგუფებთან ან ბავშვებთან ინდივიდუალურად მუშაობისათვის. კარგად გაცნობიერებული განრიგი ზრდის ბავშვების ჩართულობას და ამცირებს ქცევითი პრობლემების წარმოქმნის ალბათობას.

თავდაპირველი განრიგი:	**შეცვლილი განრიგი:**
8:15 – 8:25 მოსვლა/ ხელის დაბანა	8:15 – 8:45 **მოსვლა/ ხელის დაბანა/სამაგიდო თამაშები** -*ბავშვებს*
8:15 – 8:45 თავისუფალი თამაში	*აქვთ თავისუფალი თამაშის არჩევანის*

8:45 – 9:15 კალენდარი, ამინდი და გაკვეთილი

9:15– 10:00 ცენტრი/პატარა ჯგუფები - *ბავშვები განსაზღვრულ ცენტრებში ყოველ 15 წუთში მონაცვლეობენ სამ პატარა ჯგუფურ აქტივობებში ან თამაშებში*

10:00 - 10:15 ხელის დაბანა/ კვება

10:15 - 10:30 მუსიკა

10:30 - 10:40 წიგნის დრო - *პალტოს ჩასაცმელად ყველა გათავისუფლებულია ცენტრისაგან ერთსა და იმავე დროს*

10:40 - 11:00 გარე თამაშები

11:00 სახლში წასვლა -*ბავშვები ელიან ოჯახს ან ავტობუსს შინ წასასვლელად.*

შესაძლებლობა, როგორიცაა ცომის მოზელა, ქაღალდების გამოჭრა ან სხვა მანიპულაციები, რაც უადვილებს ცენტრში შესვლას შინიდან მოსვლის შემდეგ.

8:45 – 9:00 დიდი ჯგუფები - *რამდენიმეწუთიანი აქტივობები, რასაც ემატება დღიური განრიგის განხილვა და ცენტრის დროის დაგეგმვა.*

9:00– 10:20 ცენტრის დრო/ხელის დაბანა/კვება

- *მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვების თამაშს და ასწავლიან უნარ-ჩვევებს პატარა ჯგუფებს ან ცალკეულ ბავშვს*
- *კვება ცენტრის არჩევანია და ჭამისთვის განკუთვნილი დრო იცვლება.*

10:20 - 10:40 წიგნის დრო და მუსიკა

- *ბავშვები ამთავრებენ დალაგებას და შემდეგ ირჩევენ წასაკითხ წიგნს.*
- *რამდენიმე ბავშვს ათავისუფლებენ და უშვებენ პალტოს ჩასაცმელად, მაშინ როცა დანარჩენები კითხვას აგრძელებენ.*

10:40 - 11:00 გარე თამაშები

11:00 სახლში წასვლა -*კლასი მღერის დასამშვიდობებელ სიმღერას და სანამ ოჯახის წევრს ან ავტობუსს ელოდებიან, თამაშობენ.*

მასწავლებლებს უფრო შედეგიანი გადასვლის დაგეგმვასა და განხორციელებაში შემდეგი კითხვები და სტრატეგიები დაეხმარება (Ostrosky, Jung&Hemmeter, 2002):

რა ხდება გადასვლების დროს? ჯგუფების უმეტესობა აქვეყნებს განრიგს, რომელიც მოიცავს დროსა და აქტივობებს, მაგრამ ის, რაც რეალურად ხდება ყოველდღიურად ჯგუფში, შეიძლება განსხვავებული იყოს. რადგან გადასვლის დრო შეიძლება გადატვირთული იყოს, მასწავლებლებისთვის ადვილი იქნება, ის ღონისძიებები და ურთიერთობები გამოტოვონ, რაც ქცევით პრობლემებს იწვევს. ქცევითი პრობლემების პოტენციური სტიმულირების უკეთესად გასაგებად აღმზრდელის თანაშემწე შეიძლება რამდენიმე დღის განმავლობაში გადასვლის დაწყებისა და დასრულების დროს დააკვირდეს კლასს და ჩაიწეროს, თუ რას აკეთებენ უფროსები და ბავშვები გადასვლის პერიოდში და აღნიშნოს ქცევითი პრობლემების რაოდენობა და ტიპები. გუნდმა შემდეგ დაწვრილებით უნდა განიხილოს ეს ინფორმაცია და შეიმუშაოს გადასვლის გეგმები, რომელიც მოიცავს (1) გადასვლამდე დაკისრებულ როლებსა და პასუხისმგებლობებს (მაგალითად, ერთი მასწავლებლის დანიშვნა ცენტრისთვის მასალის მოსამზადებლად). (2) გადასვლის დროს უფროსების განლაგებას სტრატეგიულ ადგილზე (მაგალითად, ერთი მასწავლებლის კართან დადგომა ბავშვების რიგში ჩადგომის დროს მათი ჩართვის მიზნით) და (3) იმ ბავშვების იდენტიფიცირებას, რომლებსაც ინდივიდუალური დახმარება სჭირდებათ, როგორიცაა ინდივიდუალური შემხსენებელი გადასვლის წინ ან ვიზუალური განრიგის გამოყენება.

შეიძლება რომელიმე გადასვლა გამოვტოვოთ? მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ ყოველდღიური გადასვლების შემცირების გზები, განსაკუთრებით იმათი, რომლებიც ბავშვების მოძრაობას მოითხოვს. ამ გეგმის განხილვის შედეგად მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოტოვონ არასაჭირო გადასვლები. მაგალითად, დაგეგმონ უფრო ხანგრძლივი ცენტრები, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ კონცენტრირება გააკეთონ პატარა ჯგუფების მიზნებზე. ეს ცვლილება აძლევს ბავშვებს მეტ დროს დაკავდნენ მასალებთან მუშაობით, მასწავლებლებს კი მეტ დროს, იმუშაონ თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად ან მეტ შესაძლებლობას, პატარა ჯგუფები ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით ერთმანეთთან დააკავშიროს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანგრძლივმა ცენტრმა შეიძლება ქცევით პრობლემებამდე მიგვიყვანოს, თუ მასწავლებლები არ გეგმავენ ჩამრთველ აქტივობას, ხელს არ უწყობენ ბავშვების ჩართვას ამ აქტივობებში, თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურ დახმარებას არ უწევენ და არ უზრუნველყოფენ ინდივიდუალიზირებულ აქტივობებს, რომლებიც გამოავლენს სირთულეებსა და ინტერესებს.

უნდა გააკეთონ რამე ბავშვებმა, სანამ შემდეგ აქტივობას ელიან? იმაზე დაკვირვებისა და ჩაწერის შემდეგ, თუ რა ხდება გადასვლის დროს, მასწავლებლებს შეუძლიათ შეცვალონ გადასვლა ისე, რომ ბავშვებმა იმოძრაონ პატარა ჯგუფებად ან მასწავლებლებმა ლოდინის დროს ჩართონ ისინი აქტივობებში. თუ ერთი მასწავლებელი ერთდროულად რამდენიმე ბავშვს ეძახის ხელის დასაბანად, მეორეს შეუძლია ისინი რომელიმე აქტივობაში ჩართოს, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს დანიშნულების ადგილას ადვილად შევიდნენ და გამოვიდნენ, მაგალითად, იმღერონ სიმღერები ან წაიკითხონ ნაცნობი წიგნები. ასეთი გადასვლები ხელს უწყობს ასევე სოციალურ ურთიერთობებს („როცა ხელის დაბანას დაასრულებ, მეგობარს ხელი ფრთხილად დაადე, რომ შენი ადგილი დაიკავოს“).

ინტერაქტიური სიმღერები და თამაშები ბავშვებს გადასვლაში ეხმარება, ასწავლის მათ, რა უნდა ქნან და აცნობს ახალ უნარ-ჩვევებს. მაგალითად, დალაგების სიმღერა: „დაალაგეთ, დაალაგეთ ყველამ ყველგან...“ მიანიშნებს იმაზე, რომ ერთი აქტივობა სრულდება და მეორე უნდა დაიწყოს. ბავშვებს შეუძლიათ, იმღერონ გადასვლის დროს. ასევე, როცა სხვა ბავშვებს ელოდებიან, ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ მარტივი თამაშები, როგორიცაა „გამოიცანი, რა არის ჩემს ჩანთაში“, რომლის დროს მასწავლებელი ან ბავშვი რაღაცას დებს ჩანთაში და ბავშვები რიგრიგობით სვამენ კითხვებს და გამოიცნობენ, თუ რა არის ჩანთაში. ამის მიზანია, ბავშვების ჩართულობა და ქცევითი პრობლემების აღკვეთა (დამატებითი იდეებისათვის იხ. „მინიშნებები ყოველდღიური გადასვლისთვის“)

მინიშნებები ყოველდღიური გადასვლისთვის

მოსვლა/ხელის დაბანა/ მაგიდის თამაშები	▪ ბავშვებმა მოსვლის განრიგზე თავისი სურათი ან სახელი „სახლის“ ნიშნულიდან „სკოლის“ ნიშნულზე უნდა გადაიტანონ. ▪ გააკეთეთ სახეების სურათების პოსტერები, რაც აჩვენებს სხვადასხვა ემოციას (ბედნიერს, მორცხვს, მძინარეს, აღტაცებულს, იმედგაცრუებულს, მოწყენილს და ა. შ.). როცა ბავშვები მოვლენ, ისინი ტანსაცმლის ქირჭს, რომელსაც მათი სახელი აწერია, ათავსებენ „სახეების გამომეტყველებაზე“, რაც კარგად გამოხატავს იმ დროს მათ ემოციურ მდგომარეობას.

დიდი ჯგუფები	▪ სთხოვეთ ბავშვებს, ჩადგნენ წრეში, თითქოს ისინი მოძრაობენ არაქისის კარაქში, ქანაობენ ჟელატინში, დგანან სამარშო ჯგუფში, თითქოს თვითმფრინავი მიფრინავს აეროპორტში, მანქანა მოძრაობს გზაზე, ჩიტი მიფრინავს ბუდისკენ და ა. შ.
ცენტრის დროს/ხელის დაბანა/კვება	▪ დაკიდეთ განრიგი კედელზე. ბავშვები წერენ თავიანთ სახელს წარწერის ქვეშ: „დიახ, დღეს შევჭამ საჭმელს“ ან „არა, გმადლობთ, დღეს არ შევჭამ საჭმელს“. ▪ გააკეთეთ მენიუ, სადაც ბავშვები ვიზუალურად ხედავენ, რა უნდა ჭამონ („გთხოვ, მიირთვი ვაშლის ორი ნაჭერი ან ყველის სამი ნაჭერი“). ▪ დაახურეთ ერთ ბავშვს დამცავი ჩაფხუტი და შეამოწმეთ თითოეული ცენტრი დასუფთავების დროს, რომ დარწმუნდეთ, დალაგებულია თუ არა. თუ დალაგებულია, მაშინ ბავშვი აკეთებს X აღნიშვნას ყველა ცენტრის სურათზე. თუ არ არის, ის დასახმარებლად სხვა ბავშვებს მიმართავს.
წიგნის დრო და მუსიკა	▪ იმღერეთ გადასვლის მოლოდინის შესახებ: „თუ დაასრულეთ დასუფთავება, ამოირჩიეთ წიგნი“ (მელოდია: „თუ ბედნიერი ხარ და ეს იცი“). ▪ გააკეთეთ ადვილად ხელმისაწვდომი კალათა საყვარელი წიგნებისთვის, რაც ასევე გამოდგება დამოუკიდებელი კითხვისათვის.
ძირითადი მოძრაობა	▪ დახატეთ სხვადასხვა ფერის წყვილი ფიგურები ხის ჯოხებზე. მიეცით თითოეულ ბავშვს ჯოხი და დაასახელეთ ფიგურების სახელი. ერთნაირი ფორმები ერთად განალაგეთ. შეაგროვეთ ჯოხები, როგორც მომდევნო აქტივობის ბილეთები. ▪ იატაკზე დააწებეთ მუყაოსგან გამოჭრილი ფეხის

	ფორმა (ან სხვა ფიგურა), რომელიც ბავშვებს მიუთითებს, სად უნდა დადგნენ რიგში. შეცვალეთ ეს ფიგურები ახალი სიტყვების (ჭიამაია, პეპელა, ჭრიჭინა) ან ცნებების (ორნამენტები, ემოციური სახეები, ფერები, ფორმები, ასოები) გასაცნობად. ▪ გამოიყენეთ გასართობი, მარტივი სიმღერა ჰოლში სიარულის დროს: „ჩვენ ვმოძრაობთ რიგში... ერთი წინ, ერთი უკან, ჩვენ ვმოძრაობთ რიგში“. (მელოდია: „ფერმერი დელიში“).
აქტივობის დასრულება	▪ რიგრიგობით გააკეთეთ სხეულის მოძრაობები (მაგალითად, ტაში, თავზე შეხება, ტაში, თავზე შეხება). ▪ ყველა საგანი ჩანთაში დამალეთ და მიეცით მინიშნება ბავშვებს, გამოიცნონ.

ასწავლეთ, რას უნდა ელოდონ გადასვლებისგან

ხშირად ბავშვებმა არ იციან, რა უნდა გააკეთონ გადასვლების დროს. წარმოიდგინეთ გადასვლა რომელიც ყოველდღე ხდება, მაგალითად, ხელის დაბანა. ზოგიერთმა ბავშვმა შეიძლება იცის ხელის დაბანა და როგორ უნდა გააკეთოს ის ახალ გარემოში. ჩვეულებრივ, არსებობს პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს, მაგალითად, რამდენი საპონი უნდა გამოიყენო, რა უნდა გააკეთო, როცა შენი რიგი არ არის და რამდენი ქაღალდის ხელსახოცი გჭირდება. როცა ბავშვი არ მიჰყვება ხელის დაბანის (ან სხვა გადასვლის) ამ ეტაპებს, მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს, ბავშვისთვის გასაგებია თუ არა ეს ეტაპები.

ბავშვებმა რომ გაიგონ ნებისმიერ გადასვლასთან რა ქმედებები და პროცედურებია დაკავშირებული, მასწავლებლებმა უნდა უჩვენონ ნიმუში მრავალჯერ და მრავალი სახით (Sandal&Schwartz, 2002). ამის შესასრულებლად ერთი-ერთი გზაა ამ ეტაპების აღწერა სურათების მეშვეობით და შემდეგ ჯგუფური მუშაობის დროს თითოული ეტაპის როლის შესრულება. რამდენიმე დღის შემდეგ აურიეთ ფოტოები, სადაც ნაჩვენებია ეს ეტაპები და გადაალაგეთ. დაალაგეთ სურათები იმ ადგილთან ახლოს, სადაც გადასვლა უნდა მოხდეს და ბავშვებს სურათების დახმარებით უჩვენეთ ეტაპების ნიმუშები, რომლებიც ასწავლის ბავშვებს, როგორ გამოიყენონ დამოუკიდებლად ვიზუალური მასალა.

ბავშვებს ასევე შეუძლიათ თავიანთ თანატოლებს მაგალითი მისცენ. ერთ ბავშვს შეუძლია ქმედების დემონსტრირება, მაშინ როცა მასწავლებელი განმარტებებს აკეთებს. მაგალითად, ქალბატონ ლინს შეუძლია თქვას: „მოდი, ნიჟარასთან ნოეს ვუყუროთ. პირველად ის ფრთხილად მოუშვებს ონკანს, რა სჭირდება შემდეგ? სწორია, საპონი! ის ერთხელ აჭერს სასაპნეს ხელს, რადგან მეტი არ სჭირდება! ახლა ის საპნის ბუშტებს წყლით ჩამოირეცხავს და უკვე მზად არის ქაღალდის ხელსახოცის ასაღებად. რამდენი ჩამოშლა სჭირდება? მოდი, ერთად ვთქვათ 1, 2 (ასეთი რიტმი სახალისოა და ეხმარება ბავშვებს, დაიმახსოვრონ გადასვლის ეტაპები. მეორე მაგალითში წყალთან მისასვლელ რიგში ბავშვები ამბობენ ,,1,2,3, შემინახე მეც!“)

ვიზუალური მინიშნებები ან გამოსახულება (მაგალითად, ფოტოები, ამონაჭრები) ეხმარება ბავშვებს გადასვებლის ეტაპების შემეცნებაში, გადასვლის პროგნოზირებასა და იმის გაგებაში, თუ რა უნდა გააკეთოს. მოძრავნაწილებიანი ვიზუალური განრიგის თითოეული ნაწილი აქტივობას გვიჩვენებს. როცა ჯგუფი ასრულებს აქტივობას, ბავშვები შესაბამის ნაწილებს იღებენ განრიგიდან. ეს ეხმარება ბავშვებს, გაიგონ დღის განმავლობაში აქტივობების რიგითობა, მოემზადონ იმისთვის, თუ რა უნდა მოხდეს შემდეგში და ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის პროგნოზი გააკეთონ. მასწავლებლებს შეუძლიათ, ვიზუალური შეხსენებები სტრატეგიულად განალაგონ მთელ კლასში. მაგალითად, ლამინირებული სურათები იატაკზე ბავშვებს მიანიშნებს, სად უნდა დადგნენ რიგში, ქაღალდის ზოლი დასუფთავების ფოტოებით მიანიშნებს ბავშვებს, რა უნდა გააკეთონ ჭამის შემდეგ, დღიურ კალენდარზე შეწყვეტის ნიშანი ბავშვებს აჩვენებს, რომ იმ დღეს რაღაც განსხვავებული მოხდება.

გამოიყენეთ გადასვლის დრო სოციალური უნარ-ჩვევების შესასწავლად და ემოციური განვითარების ხელშესაწყობად

გადასვლები უზრუნველყოფენ სოციალური უნარ-ჩვევებისა და ემოციური კომპეტენციების შესაძლებლობების განვითარებას. მასწავლებლებს შეუძლიათ, წაახალისონ ბავშვების ერთად მუშაობა და უზრუნველყონ ისინი უკუკავშირით („შეხედე, ყველა თქვენგანი ალაგებს!“ „ყოჩაღ, ჩაიცვი უკვე პალტო? ძალიან სწრაფად ჩაიცვი. შეგიძლია, დაეხმარო მაიკლს პალტოს ჩაცმაში?“) მეგობრული უნარ-ჩვევების წახალისება გადასვლებს ბავშვებისთვის უფრო მარტივს გახდის: სთხოვეთ, ბავშვს მოძებნოს მეგობარი, ვის გვერდზეც დაჯდება, ჰოლში წყვილად გაივლის, დაალაგებს, ითამაშებს და ასე შემდეგ.

გრძნობების გაცნობიერება ამტკიცებს ბავშვების ემოციებს, ასწავლის მათ ემოციურ სიტყვებს და ეხმარება გრძნობების სათანადოდ მართვის შესწავლაში. როცა ბავშვი აქტივობის ბოლოს იმედგაცრუებული, გაბრაზებული ან მოწყენილია, მასწავლებელს

შეუძლია, ეს სწავლებისთვის გამოიყენოს. ემოციების გაცნობიერება („კალე, ძნელია დასუფთავება, ვიცი, რომ შენ კოშკის დატოვება გაწუხებს“), ჩართეთ ბავშვი პრობლემის გადაჭრაში („რა შეგვიძლია გავაკეთოთ? გინდა სურათის გადაღება? გინდა შეინახო ჩემს კომპიუტერში?“) და დაეხმარეთ ბავშვს ერთად გადაწყვიტოთ პრობლემა („მოდი, შევინახოთ თაროზე ხვალისთვის და წავიდეთ სასადილოდ“). ემოციებისათვის სახელის დარქმევით და გადაწყვეტილების მიღებით მასწავლებლები ბავშვებს გადასვლაში ეხმარებიან, ქმედებასთან ერთად სწავლებით ბავშვები სწავლობენ, როგორი რეაგირება მოახდინონ რთულ სიტუაციებზე.

როცა ბავშვებს ისევ აქვთ სირთულეები: გადასვლის ინდივიდუალური სტრატეგიები

მაშინაც კი, როცა მასწავლებლები გეგმავენ გადასვლებს, იყენებენ ვიზუალურ განრიგებს და ქმნიან ინტერაქტიურ აქტივობებს, ზოგიერთ ბავშვს ისევ უჭირს გადასვლა. მასწავლებლებს შეუძლიათ ბავშვები გადასვლამდე 5 ან 10-წუთით ადრე გააფრთხილონ, გამოიყენონ ვიზუალური მინიშნებები და კარნახით დაეხმარონ ყველა ბავშვს. მაგრამ როცა ზოგიერთი ბავშვი გადასვლის დროს ქცევითი პრობლემების გამოვლენას განაგრძობს, საჭირო ხდება პრობლემის ინდივიდუალურად გადაჭრა. მასწავლებლებმა უნდა დასვან ოთხი შეკითხვა ინდივიდუალური გეგმის შესადგენად: რატომ ვლინდება ეს ქცევა? როგორ შეიძლება აღიკვეთოს ის? როგორი რეაგირება შეიძლება მოვახდინო, როცა ეს ქცევა ვლინდება? და რა ახალი უნარ-ჩვევები უნდა ვასწავლოთ ბავშვს? (Lentini, Vaughn&Fox, 2004)

წარმოიდგინეთ 3 წლის დეივიდის შემთხვევა, რომელსაც გაუჭირდა ჯგუფის გადასვლის სტრატეგიებზე რეაგირება. დეივიდი შედის კლასში, ტირის და ეხვევა დედას. ის უარს ამბობს ხელების დაბანაზე, სათამაშოების ადგილზე დადებასა და ჯგუფურ აქტივობებში ჩართვაზე. დეივიდი ეცემა იატაკზე და კივის. უფროსებს სურთ მისი ქცევის მართვა, ის სცემს, ფეხებს ურტყამს მათ და კივის. ცენტრის დროს დეივიდი დახეტიალობს ოთახში და არ ერთვება აქტივობებში. საღამოს ნივთების მილაგების დროს კი უარს ამბობს, ჩააწყოს ისინი ჩანთაში და ტირის.

ქალბატონი მეგი უკვე იყენებს ვიზუალურ განრიგს, ისე ადგენს დღის განრიგს, რომ ბავშვებს არჩევანის საშუალება ჰქონდეთ და გადასვლების პერიოდში ბავშვების ჩართვის სტრატეგიებს იყენებს. თუმცა რამდენიმე ბავშვისთვის ხანდახან რთული ხდება გადასვლა, მაგრამ უმეტესობისათვის გადასვლები იოლია. მაგრამ დეივიდის ქცევითი პრობლემები იზრდება. ქალბატონი მეგი საკუთარ თავს ეკითხება დეივიდის ქცევის შესახებ და მონაცემებს აგროვებს გადასვლების დროს მისი ქცევის შესახებ. თავის დაკვირვებებზე დაყრდნობით, ის დეივიდს ინდივიდუალურ დახმარებას უწევს (იხ. „ინდივიდუალური გადასვლა დეივიდისთვის“)

ინდივიდუალური გადასვლა დეივიდისთვის

სამიზნე გადასვლა	რატომ ვლინდება ეს ქცევა?	როგორ უნდა ავიცილო თავიდან ეს პრობლემა?	როგორი რეაგირება შეიძლება მოვახდინო პრობლემაზე?	რა უნარ-ჩვევები შეიძლება ვასწავლო დეივიდს?
დალაგება (გადასვლა ცენტრიდან დიდ ჯგუფებზე)	დეივიდს არ სურს აქტივობის მიტოვება	• მიეცით დეივიდს ნიშანი გადასვლის წინ („კიდევ ორი წუთი“ ან „კიდევ სამი კუბი“). • მას შემდეგ, რაც კლასს მისცემთ მითითებას, მიდით დეივიდთან და მიუთითეთ მას • უჩვენეთ დალაგების ნიმუში და თანამიმდევრობა („პირველადმე გადავდებ კუბს, შემდეგ შენ გადადე“) • გამოიყენეთ ფოტოების დაფა, ზემოთ	• უგულებელყავით არასათანადო ქცევა • დეივიდი დალაგებისთვის მაშინვე შეაქეთ • გამოიყენეთ „პირველი, შემდეგი“ მითითება • რიგითობას მიმართულება მიეცით და უჩვენეთ ნიმუში.	• როგორ დავალაგოთ ცენტრი რიგითობის დაცვით

		ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით თანამიმდევრობა რომ უჩვენოთ.		
მოსვლა და წასვლა	დეივიდს არ სურს დედის დატოვება	• გამოიყენეთ ამბავი იმისთვის, თუ რა ხდება სკოლაში • ნება მიეცით დეივიდს, დილით თავისი საბანი მოიტანოს • გაართეთ დეივიდი მოსვლის დროს • უთხარით მის თანატოლებს, მიესალმონ დეივიდს და მიიწვიონ სათამაშოდ • გამოიყენეთ ვიზუალური განრიგი დეივიდის დედის ფოტოსთან ერთად	• დაეხმარეთ დეივიდს, ხელი დაუქნიოს და დაემშვიდობოს დედას • წაუკითხეთ დამამშვიდებელი მოთხრობა სკოლის შესახებ	• როგორ მოითხოვოს ჩახუტება და დამამშვიდებელი ნივთები • როგორ გამოიყენოს ვიზუალური განრიგი • როგორ თქვას, ნახვამდის
ცენტრებში გადასვლა	დეივიდმა არ იცის	• მოამზადეთ მომავალი	• გამოიყენეთ ვიზუალური	• როგორ გამოიყენოს

რა უნდა გააკეთოს შემდეგ	აქტივობა გადასვლაზე ნიშნის მიცემამდე • მიეცით დეივიდს ინდივიდუალ ური არჩევანის ბარათი • ნება მიეცით დეივიდს, ლოდინის დროს ითამაშოს პატარა ნივთებით • მიანიშნეთ დეივიდს, შეხედოს ვიზუალურ განრიგს	მინიშნებები დეივიდის მომდევნო აქტივობაზე გადართვის მიზნით • მიეცით მოლოდინების ნიმუში • მიუთითეთ, მაგალითი აიღოს თანატოლებისაგ ან.	ვიზუალური განრიგი • როგორ მიბაძოს თანატოლებს • როგორ აარჩიოს გადასვლის აქტივობა (წიგნები, თავსატეხები) მოლოდინის დროს.

ზოგიერთი ბავშვისთვის რთულია გადასვლის მართვა და ამას მივყავართ ქცევით პრობლემებამდე. როცა რამდენიმე ბავშვს უჭირს გადასვლა, შეიძლება გაჩნდეს კითხვები, თუ როგორ გეგმავს პროგრამა და ახორციელებს გადასვლებს. ასეთ შემთხვევებში მასწავლებლები აფასებენ განრიგს გადასვლების რაოდენობისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით და გადასვლების დროს ბავშვების მოლოდინებს. ეს ინფორმაცია უნდა გამოვიყენოთ გადასვლების მოდიფიცირებისათვის ბავშვების უკეთესად დახმარების მიზნით, რაც სავარაუდოდ, ნაკლებ ქცევით პრობლემებამდე მიგვიყვანს. თუ ერთი ბავშვი ისევ გამოავლენს ქცევით პრობლემებს, საჭირო იქნება ამ ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება.

როცა მასწავლებლები აფასებენ გადასვლებს, შეიმუშავებენ სტრატეგიებს, ბავშვებს გადასვლაში უფრო ადვილად რომ დაეხმარონ, საჭიროებისამებრ ახორციელებენ ინდივიდუალურ გეგმებს, გადასვლა, როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის, სახალისო და შედეგიანი იქნება.